ოქმი N2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2021 წლის 25 თებერვალი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 24 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: თ. გელანტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: გ. ნასარაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, არაუგვიანეს მიმდინარე წლის თებერვლისა. კანონის ამ მოთხოვნის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი რჩება იგივე, რაც 2020 წელს იყო განსაზღვრული და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

ქალაქ ხობის ტერიტორიაზე შეადგენს 12.38 ლარს, სოფლებში - 3.71 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში - 3.1 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში გამავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) - 6.19 ლარს, ხოლო ძალადაკარგულად ცხადდება „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N3 დადგენილება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: გ. ნასარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N3 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, 2021 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ", რომლის საფუძველზეც, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №18 დადგენილებით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში გათვალისწინებულ იქნა სოციალური მუშაკის საშტატო თანამდებობა მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის სახით. სოციალური მუშაობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფუნქციების აღსასრულებლად, ადგილობრივი თვითმმართველობისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისა და საქართველოს პარლამენტიდან მიღებული სარეკომენდაციო დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ამ ფუნქციისათვის მიკუთვნებული პასუხისმგებლობისა და სამუშაოს აღწერილობის საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სოციალური მუშაკის ფუნქციისთვის გათვალისწინებული საშტატო თანამდებობა გარდაქმნილიყო მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობად. ზემო აღნიშნული მიზნებისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლითაც თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში არსებული მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა იცვლება მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობით და შესაბამისად 100 ლარით იზრდება თანამდებობრივი სარგო, რაც ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახელფასო ფონდის მოცულობის ზრდას არ იწვევს არსებული ეკონომიების გათვალსწინებით. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს

კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი წარმოდგენილი სახით მიღება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: გ. ნასარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N4 ოქმს თან ერთვის)

მე-2 საკითხის კენჭისყრის დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა ხობში ქალთა ფეხბურთის წარმატებებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საკრებულოში წერილით შემოვიდა ერთ-ერთი ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელი, სადაც აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტი დაეხმაროს ხობის ქალთა ფეხბურთის განვითარებას და გაითვალისწინოს ბიუჯეტში შესაბამისი თანხები, რომელსაც საკრებულოს უმრავლესობა ეთანხმება და თხოვნით მიმართა მერიის შესაბამის სამსახურს, გაითვალისწინონ თანხები ხობში ქალთა ფეხბურთის განვითარებისთვის.

გამომსვლელმა ასევე ისაუბრა გარე განათების პრობლემებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საკრებულოს წინა სხდომებზეც გამოითქვა პრეტენზიები გარე განათების მოუწესრიგებლობასთან დაკავშირებით, მაგრამ ამ დრომდე პრობლემები არ მოგვარებულა და იქვე მიმართა მერიის შესაბამის სამსახურს დროულად მოგვარებულიყო აღნიშნული პრობლემა.

გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი - გამომსვლელმა განმარტა, რომ ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად საჭირი იყო სპეცმანქანა, რომელიც ამ დროისთვის მწყობრიდან იყო გამოსული და ელოდებოდნენ მანქანის შეკეთებას. მერის განცხადებით, არსებული სპეცტექნიკა მოძველებულია და ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან, გამომდინარე აქედან უმჯობესი იქნებოდა ახალი სპეცტექნიკის შეძენა, რათა დროულად მოგვარდეს გარე განათებასთან დაკავშირებული პრობლემები, რისი საშუალებაც ამ ეტაპისთვის არ გააჩნიათ.

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: თ. გელანტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მიერ მომზადდა საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმა საკრებულოს კომისიების წლიური გეგმისა და მერიის მიერ 2021 წელს მოსამზადებელი პროექტების გათვალისწინებით, რომელიც გათვლილია კვარტლების მიხედვით. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: გ. ნასარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N4 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2021 წლის 25 თებერვლის სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. თეა გელანტია
3. დოდო გაბუნია
4. დავით ბერაია
5. თენგიზ აბაკელია
6. მერაბ ფილიპია
7. კახა ლატარია
8. ბექა მამაცაშვილი
9. ნიკოლოზ ვეკუა
10. კახა მიქაბერიძე
11. ლაშა ცატავა
12. იგორ გოგოლაძე
13. დავით ცინაძე
14. ავთანდილ ხუნჯუა
15. გოჩა სიჭინავა
16. მზია ლემონჯარია
17. კობა გოქაძე
18. გენადი ქაძანაია
19. კოსტანტინე ნასარაია
20. შადიმან ჭილაია
21. გია წულაია
22. აკაკი ხურცლავა
23. გოჩა ჯობავა
24. რამინ ხილაძე